ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

უფასო იურიდიული დახმარება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას

(საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა)

კონსულტანტი ქეთევან ჩომახაშვილი

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

Empowered lives
Resilient nations.

უფასო იურიდიული დახმარება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას

(საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა)

კონსულტანტი ქეთევან ჩომახაშვილი

2018 წელი

ეს კვლევა შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.

შესავალი

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საკმაოდ გავრცელებული მექანიზმია საქართველოში. მისი მეშვეობითაც სახელმწიფო ინსტიტუტები სწრაფად და ეფექტურად ებრძვიან დანაშაულს და გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას საჭირო სახელმწიფო სახსრების ეკონომიის ხარჯზე ახორციელებენ მართმსაჯულებას.

წინამდებარე კვლევის მიზანს საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის განსაზღვრა წარმოადგენს. მით უმეტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობით საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სავალდებულოა პირს ჰყავდეს ადვოკატი და ამ ადვოკატის ხარჯებს, სხვა ხარჯების ეკონომიის ფონზე, ისევ სახელმწიფო გაიღებს.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს უფასო იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, მოხდა მისი შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან და სხვადასხვა ევროპული ქვეყნის კანონმდებლობასთან. ასევე გაანალიზდა სტატისტიკური მონაცემები, რათა განსაზღვრულიყო არსებული სისტემის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

პროცესის მონაწილეთა მოსაზრებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, მომზადდა ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი და გამოიკითხა როგორც პროკურორები და მოსამართლეები (შესაბამისად 5 და 2 ინტერვიუ), ასევე უფასო იურიდიული დახმარებისა და ადვოკატთა ასოციაციის 5-5 ადვოკატი.

შესაბამისად, კვლევის განმავლობაში პასუხი გაეცა შემდეგ შეკითხვებს:

- როგორია საქართველოს კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს უფასო იურიდიული დახმარების გამოყენებასთან დაკავშირებით;
- რა არის საქართველოს კანონმდებლობის უარყოფითი და დადებითი მხარეები;
- როგორ ხდება კანონმდებლობის საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გამოყენება;
- სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან შედარების გზით, შეიძლება თუ არა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდეს ცვლილება, დადებით შემთხვევაში რა მიმართულებით;
- როგორია პროცესის მონაწილეთა (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი) მოსაზრება როგორც არსებულ სისტემასთან, ასევე შეთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ზემოთჩამოთვლილი საკითხების ანალიზის შედეგად, მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებები, რომელიც სადისკუსიოდ წარედგინება ფართო აუდიტორიას.

თავი 1. საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად დაცვის უფლება გარანტირებულია, ხოლო ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი ყველა ადამიანს ანიჭებს უფლებას "დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით, ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესები."

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში (მათ შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას) სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პირის დაცვის უფლება თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად და ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესი. მართმსაჯულების ინტერესი კი თავის მხრივ გულისხმობს ა) დანაშაულის სიმძიმეს; ბ) შესაძლო სასჯელის სიმკაცრეს, გ) საქმის სირთულეს და დ) ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად მდგომარეობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXI თავი ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას ყველა კატეგორიის დანაშაულზე, რა დროსაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორზე სასჯელზე, ბრალის შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. ამასთან, საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლი, განსაკუთრებულ შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას, საქართველოს მთავარი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა დანაშაულზე, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1-144^3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებისა.

ამავე კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზება შეუძლია როგორც ბრალდებულს, ისევ პროკურორს, ხოლო საქმის განხილვისას სამართლო **უფლებამოსილია** გაარკვიოს მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა, რაც პროცედურულად ბრალდებულის მხრიდან შეთავაზების შემთხვევაში - განცხადებით, ხოლო პროკურორის მხრიდან შეთავაზების შემთხვევაში - საპროცესო

შეთანხმების შეთავაზების ოქმით ფორმდება. გასათვალსწინებელია ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმება როგორც გამოძიების ასევე სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე დაიშვება, საკასაციო განხილვის ჩათვლით.

საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს პროკურორის ვალდებულებას გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებათა გამოკვლევის გარეშე გამოაქვს.[1] ასევე, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სასამართლოს ვალდებულება, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სხვა საკითხებთან ერთად გაარკვიოს და დარწმუნდეს, რომ ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების სამართლებრივ შედეგებს, იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება, გათვალისწინებულ სასჯელს რომლის ჩადენასაც აღიარებს, რომ ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების შესაძლებლობა და რომ ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.[2] ამავე კოდექსის 213-ე მუხლის მეორე ნაწილით, სასამართლომ მხოლოდ მაშინ უნდა დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება თუ ბრალდება დასაბუთებულია, მოთხოვნილი სასჯელი კანონიერი და სამართლიანი, და ყველა ზემოთჩამოთვლილ საკითხზე ბრალდებულისაგან დამარწმუნებელი პასუხები მიიღო.

სწორედ ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, იმის გამო რომ ბრალდებული უარის ამბობს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაზ,ე მისი საქმე განხილულ იქნეს არსებითად და უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევაში, საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად დაუშვებელია საპროცესო შეთანხმების დადება ადვოკატის უშუალო მონაწილეობის გარეშე.

როგორც ვხედავთ, საქართველოს კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების დადების დროს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას გულისხმობს, რომლის მოწვევის წესი ამავე კოდექსის 45-ე და 46-ე მუხლებით არის მოწესრიგებული. კერძოდ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად სავალდებულოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, ხოლო 46-ე მუხლი თანახმად დაცვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს თუ არსებობს საპროცესო კოდექსით დადგენილი სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი. ამასთან, თანახმად "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია კანონით პირდაპირ

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის 1[2] ნაწილი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 31/03/11/2009, [https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034#!], ბოლოს ნანახია 10.09.2017.

[2] იქვე, მუხლი 212(2).

გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე ამავე კანონით დადგენილი წესით თუ ბრალდებული, მსჯავრდებული ან/და გამართლებული გადახდისუუნაროა.

ამდენად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და საქართველოს კანონი "იურიდიული დახმარების შესახებ", საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში ბრალდებულის დაცვის განხორციელების უფრო მყარ გარანტიებს აწესებს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და სახელმწიფოს ავალდებულებს სახელმწიფოს ხარჯზე განახორციელოს ბრალდებულის ინტერესების დაცვა საპროცესო შეთანხმების მოლაპარაკების დაწყებისთანავე, მიუხედავად იმისა შეუძლია ან/და სურს თუ არა ბრალდებულს მოიწვიოს დაცვა შეთანხმებით. აღნიშნული კი, ჩვენის აზრით, გაუმართლებლად ზრდის იურიდიული დახმარების სამსახურის დატვირთვას და ამცირებს სხვა გადახდისუუნარო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ გასაწევი მომსახურების ხარისხს. ანალოგიური ვითარებაა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა სხვა საფუძვლით ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით, გარდა მიმალვაში მყოფი ბრალდებულისათვის ადვოკატის დანიშვნისა და ვითარება განსაკუთრებით რთულდება მაშინ როცა იურიდიული დახმარების სამსახურის დატვირთვა ამ საქმეთა ოდენობით მნიშვნელოვნად იზრდება.

შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის კანონმდებლობით, ადვოკატის მონაწილება საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სავალდებულოა, მიუხედავად კონკრეტული საქმის ბუნებისა (ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ფინეთი და ესტონეთი), ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მარტივ საქმეებზე საპროცესო შეთანხმება შეიძლება შედგეს ადვოკატის გარეშე (გერმანია, ინგლისი). აქვე გასათვალისწინებელია ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გაწერილი ბრალდებულის ვალდებულება, მსჯავრის გამოტანის შემდგომ თუ გადახდისუუნარო არ არის აანაზღაუროს ადვოკატის მომსახურების ხარჯები (ბულგარეთი, ესტონეთი, გერმანია).[3]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადვოკატის დანიშვნის ვალდებულებას წარმოშობს საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების მიმდინარეობის შემთხვევაში, თუმცა არსად დეტალურად არ არის გაწერილი თუ რას გულისხმობს მოლაპარაკების მიმდინარეობა, როდის იწყება ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკება და შესაბამისად გადაწყვეტილების მიმღებ პირს როდის წარმოიშობა ვალდებულება, საქმეში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს იურიდიული დახმარების ადვოკატი. აღნიშნული კი ზრდის პროცესის მონაწილეთა შესაძლებლობას,

[3] იხ. "იურიდიული დახმარება სისხლის სამართალში და საპროცესო შეთანხმება", ალექს ტინსლი, 2017 წელი, გვ. 59.

გამოიყენონ სახელმწიფო რესურსი უფასო იურიდიული დახმარების სახით, სათანადო საფუძვლის გარეშეც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია სათანადო საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში მოწვეული ადვოკატის საქმიდან ჩამოშორების/აცილების პროცედურა, რომელიც საპროცესო კოდექსით გაწერილია არ არის და ამ გადაწყვეტილების მიღება მთლიანად არის დამოკიდებული სასამართლო პრაქტიკაზე. შესაბამისად, ირკვევა, რომ ადვოკატებს რომლებიც საპროცესო შეთანხმების მოტივით ჩაერთნენ საქმეში, უწევთ ან გააგრძელონ ბრალდებულის ინტერესების დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმეში მონაწილეობის საფუძველი არ არსებობს, ან სასამართლოს მიმართონ შუამდგომლობით საქმიდან აცილების თაობაზე, შესაბამისი სამართლებრივი დასაბუთების გარეშე, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

თავი 2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

იმისათვის რომ სწორად შეფასებულიყო საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით უფასო იურიდიული დახმარების მიღების აუცილებლობა და ამ სერვისის მიწოდების პროცესში იურიდიული დახმარების სამსახურის წინაშე მდგარი ამოცანები, სტატისტიკური ინფორმაცია იქნა გამოთხოვნილი როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, ასევე იურიდიული დახმარების სამსახურიდან.
შესაბამისი წერილით საქართველოს უზენაეს სასამართლოს ეთხოვა მოეწოდებინა ინფორმაცია 2015-2016 წლებში, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დამტკიცებულ საპროცესო შეთანხმების რაოდენობათა თაობაზე, ასევე იმ მსჯავრდებულთა შესახებ, რომელთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების გზით როგორც ძირითადი ასევე დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნათ ჯარიმა. საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მიღებული წერილით დგინდება, რომ 2015-2016 წლებში სულ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება 19972 მსჯავრდებულის მიმართ (2015 წელს - 9868, 2016 წელს - 10104), რომელთაგან ჯარიმა დაენიშნა 2667 მსჯავრდებულს (2015 წელს - 1236, 2016 წელს - 1431), რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 13%-ს შეადგენს.

ანალოგიური წერილით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას და ვთხოვეთ მოეწოდებინათ ინფორმაცია იმ ბრალდებულთა რაოდენობის თაობაზე, რომელთაც 2015-2016 წლებში პროკურატურის მიერ გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმება, დანაშაულის კატეგორიების მითითებით, თუმცა პროკურატურიდან მიღებული წერილით გვეცნობა, რომ გამოტანილ განაჩენებთან დაკავშირებით მიგვემართა სასამართლოსათვის.

კვლევის მიზნებისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება იურიდიული დახმარების სამსახურის მეშვეობითაც განხორციელდა, საიდანაც მიღებული წერილი ირკვევა შემდეგი:

2015 წელს, იურიდიული სამსახურის მიერ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით (სულ 10 საფუძველი) წარმოებაში იქნა მიღებული 8406 საქმე, რაც საქმეთა საერთო რაოდენობის (სულ 9532 საქმე) 88%-შეადგენს. ხსენებული 8406 საქმიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატი გამოყოფილ იქნა 4272 შემთხვევაში (50%). აქვე აღსანიშნავია, რომ ხსენებული 4272 შემთხვევიდან მხოლოდ 194 პირი იყო გადახდისუუნარო და საბოლოოდ საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 3632 ბრალდებულის საქმე, მათ შორის 1238 საქმეზე სასჯელის

სახედ გამოყენებულ იქნა ჯარიმა (10000 ლარზე მეტი - 39, 5000-დან 10000 ლარამდე - 153, 1000-დან 5000 ლარამდე - 923)

2016 წელს კი, იძულებითი დაცვის მოტივით, იურიდიული დახმარების სამსახურის წარმოებაში მიღებულ იქნა 8148 საქმე, რაც საქმეთა საერთო რაოდენობის (სულ 9233 საქმე) 88%-შეადგენს. ხსენებული 8148 საქმიდან საიდანაც საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატი გამოყოფილ იქნა 4113 შემთხვევაში (50%). აქვე აღსანიშნავია, რომ ხსენებული 4113 შემთხვევიდან მხოლოდ 206 პირი იყო გადახდისუუნარო და საბოლოოდ საპროცესო შეთანხმებით დასრულდა 3343 ბრალდებულის საქმე, მათ შორის 1064 საქმეზე სასჯელის სახედ გამოყენებულ იქნა ჯარიმა (10000 ლარზე მეტი - 13, 5000-დან 10000 ლარამდე - 88, 1000-დან 5000 ლარამდე - 846).

ამდენად, სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ სულ 2015-2016 წლებში სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების საქმეებიდან (19972 პირი) უფასო იურიდიული დახმარებით ისარგებლა 8385 პირმა (42%) და მათგან მხოლოდ 400 (4.8%) იყო გადახდისუუნარო. აქვე აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით წარმოებაში მიღებული 8385 საქმიდან 6975 პირის საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით (83%) და მათგან 2302 პირზე (33%) სასჯელის სახედ ჯარიმაც კი იქნა გამოყენებული.

იმის გათვალისწინებით, რომ იურიდიული დახმარების სამსახური სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე დაახლოებით 100 ადვოკატით არის დაკომპლექტებული და წლის მანძილზე თითოეული მათგანი საშუალოდ 80 საქმეს აწარმოებს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის გამო, იძულებულია გააგრძელოს საქმეში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ აღმოიფხვრა იძულებითი დაცვის საფუძველი, რომ საქმეთა სიმრავლემ შეიძლება გამოიწვიოს მათი მხრიდან გაწეული მომსახურების ხარისხის დაქვეითება.

თავი 3. ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი

საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმართ პროცესის მონაწილეთა დამოკიდებულების გარკვევის მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები 5 პროკურორთან, 10 ადვოკატთან და 2 მოსამართლესთან.

ჩაღრმავებული ინტერვიუს კითხვარი მომზადებული იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საერთაშორისო კანონმდებლობისა და ევროსასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე და მასში შემავალი კითხვები, შესაძლებლობის ფარგლებში, მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც პროცესის მონაწილეების აზრი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ მივიჩნიეთ. კითხვარის მომზადების პროცესში ასევე გათვალისწინებულ იქნა პროცესის მონაწილეთა როლი საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატის დანიშვნისა თუ ამ გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში.

კითხვარის საფუძველზე ინტერვიუში მონაწილე პირებს უნდა შეეფასებინათ საქართველოს კანონმდებლობა ადვოკატის დანიშვნასთან დაკავშირებით (ზოგადი ხასიათის შეკითხვები), ამ კუთხით არსებული სასამართლო პრაქტიკა და პროცესის მონაწილეთა ქმედებები (ძირითადი ნაწილი) და პროცესის სხვა მონაწილეთათვის მიეცათ რეკომენდაციები ამ პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით (შემაჯამებელი ნაწილი).

ინტერვიუს შედეგად გაირკვა შემდეგი: პროცესის მონაწილეთა აზრით საქართველოს კანონმდებლობა საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატის როგორც დანიშვნასთან, ასევე შესაბამისი საპროცესო საფუძვლის აღმოფხვრის დროს გათავისუფლებასთან დაკავშირებით ბუნდოვანია და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მანიპულირების საშუალებას აძლევს. იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა განცხადებით კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი "მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე" პროკურორების და მოსამართლეების მხრიდან არაერთგვაროვნად განიმარტება და გამოიყენება პრაქტიკაში. ხშირია შემთხვევა, როცა პროკურორები ადვოკატებს რთავენ სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ როცა მოლაპარაკება თითქმის დასრულებულია და ბრალდებული თანახმაა გაუფორმდეს საპროცესო შეთანხმება კონკრეტული პირობით, მაშინ როცა მოსამართლეთა მხრიდან ადვოკატის თაობაზე მოთხოვნა იურიდიული დახმარების ბიუროში იგზავნება

მაშინაც კი როცა ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს (ბრალის აღიარება სავალდებულო პირობაა საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად) ან/და მიუხედავად აღიარებისა, პროკურორი წინააღმდეგია ამ კონკრეტულ ბრალდებულთან გაფორმდეს საპროცესო შეთანხმება.

შეკითხვაზე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად თუ როდიდან უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ბრალდებული ადვოკატით და რას გულისხმობს "მიმდინარეობს მოლაპარაკება" მოსამართლეებმა განაცხადეს, რომ როცა ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და ორივე მხარე ადასტურებს მოლაპარაკების მიმდინარეობას, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად არც ერთ არ მიუმართავს საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოთხოვნით, მიაჩნიათ მოლაპარაკების წარმოებად. ანალოგიურ კითხვაზე ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებმა ბრალდებულის წერილობითი განცხადება ან პროკურორის მხრიდან შეთავაზების ოქმი მიიჩნიეს მოლაპარაკების დაწყების საფუძვლად, ხოლო პროკურორთა უმრავლესობამ (5-დან 4 პროკურორი) ბრალდებულის მხრიდან პოზიციის ზეპირად გამოხატვა, რომ სურს საპროცესო შეთანხმების გაფორმება, მიიჩნიეს იძულებითი დაცვის დანიშვნის საფუძვლად, რათა პირობების ჩამოყალიბების პროცესში ბრალდებული უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატით.

კანონმდებლობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საპროცესო კოდექსის 45-ე და 46-ე მუხლები აიძულებს გადაწყვეტილების მიმღებ პირს დაუყოვნებლივ დანიშნოს ადვოკატი იძულებითი დაცვის საფუძვლით, თუ მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, რაც აიძულებს სახელმწიფოს გაიღოს თანხები ისეთი ბრალდებულების იურიდიულ დახმარებაზე, რომელთაც თვითონ შეუძლიათ იყოლიონ ადვოკატი და ისურვებდა, რომ კონკრეტულად ყოფილიყო გაწერილი როგორც საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატის დანიშვნის, ასევე საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ადვოკატის აცილების საფუძვლები. ამასთან, ზოგიერთმა გამოკითხულმა პრობლემის საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე მოგვარების შესაძლებლობაზე ისაუბრა, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირები (მოსამართლეები და პროკურორები) პრაქტიკაში დანერგავენ ბრალდებულისათვის ადვოკატის აყვანის შესაძლებლობის განმარტებას და გონივრული (2-3 დღიანი) ვადის მიცემას, ადვოკატის მოსაყვანად. მათი აზრით საკითხისადმი ასეთი მიდგომა მინიმუმ 10-20%-ით შეამსუბუქებს იურიდიული დახმარების ადვოკატების დატვირთვას და გამორიცხავს იმ ბრალდებულებზე რესურსის ხარჯვას, რომელთაც ადვოკატის აყვანის საშუალება გააჩნიათ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდა საქართველოს კანონმდებლობისა, ინტერვიუს მონაწილეებს ეთხოვათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებს არ აქვთ შეხება იურიდიული დახმარების ადვოკატების საქმიანობასთან,

მოსამართლეების შემთხვევაში კი, შესაბამისი პრაქტიკის სიმცირის გამო, რაიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება არ გამოთქმულა.

პროკურორთა მხრიდან დადასტურდა იურიდიული დახმარების ადვოკატების გადატვირთულობასთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით გამოწვეულია სასამართლოს მხრიდან ადვოკატის როგორც დანიშვნის, ასევე მათი საქმიდან ჩამოშორების არაწორი პრაქტიკით. კერძოდ: პროკურორთა აბსოლიტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ სასამართლოები არ უნდა ნიშნავდნენ ადვოკატს საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების მოტივით, მხოლოდ ბრალდებულის სურვილის საფუძველზე, მაშინ როცა პროკურორი სასამართლო სხდომაზე ცალსახად აფიქსირებს რომ არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს და არც შეიძლება მიმდინარეობდეს, ვინაიდან ბრალდების მხარე არ აპირებს ამ კონკრეტულ ბრალდებულს გაუფორმოს საპროცესო შეთანხმება. განსაკუთრებულ პრობლემად მიაჩნიათ შემთხვევები, როცა ბრალდებული არც კი აღიარებს დანაშაულს, ვინაიდან დანაშაულის აღიარება საპროცესო შეთანხმების გაფორმების სავალდებულო პირობაა. ანალოგიურად პრობლემად მიაჩნიათ მოსამართლის მხრიდან მიღებული გადაწყვეტლება ადვოკატის აცილებაზე შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების შესახებ, როცა სათანადო საფუძველი აღმოფხვრილია, ისევე როგორც ზოგიერთი ადვოკატის დამოკიდებულება არ დააყენოს ასეთი შუამდგომლობა, მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია და საქმე არსებითი განხილვის რეჟიმში გრძელდება.

რაც შეეხება იურიდიული დახმარების ადვოკატებს, ამ უკანასკნელთა მხრიდან დასახელდა რამდენიმე პრობლემა, რომელიც მათივე აზრით იწვევს მათ გადატვირთულობას და ხელს უშლის მათ ეფექტური საქმიანობის განხორციელებაში. კერძოდ: ადვოკატთა განცხადებით ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეთა და პროკურორთა მხრიდან მაშინ მიიღება გადაწყვეტილება მათი როგორც ადვოკატის საქმეში ჩართვის თაობაზე, როცა რეალურად საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკება არ მიმდინარეობს და გადაწყვეტილების მიმღები პირები ამ გზით ცდილობენ გაიმარტივონ თავიანთი საქმე (საქმის მასალების გაცვლა, პრობლემური ბრალდებული, საქმეში არსებული ხარვეზების დაფარვის მცდელობა და ა.შ.). პრობლემურია ასევე საქმიდან აცილების ნაწილიც, ვინაიდან თუ ბრალდებული გამოთქვამს სურვილს ყავდეს ადვოკატი, მოსამართლეთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში აცილების შუამდგომლობა არ კმაყოფილდება, რის გამოც იძულებულნი ხდებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი საქმეში მონაწილეობის საფუძველი აღმოფხვრილია, საქმის არსებით განხილვაში მიიღონ მონაწილეობა და საქმის დასრულებამდე დაიცვან ბრალდებულის ინტერესები.

გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატთა დიდი ნაწილი პრობლემის მოგვარებას ბრალდებულისათვის გონივრული ვადის მიცემაში ხედავს, შეთანხმებით ადვოკატის ასაყვანად. პროკურორთა მხრიდანაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული ნაცვლად დაუყოვნებლივ ადვოკატის დანიშვნისა, არადაკავებული ბრალდებულისათვის გონივრული ვადის მიცემა ადვოკატის ასაყვანად, თუმცა ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გონივრული

ვადა ხშირ შემთხვევაში დროის ფუჭად ხარჯვას გამოიწვევს, ვინაიდან როცა ბრალდებულმა იცის უფასო ადვოკატის თაობაზე, იშვიათად იყენებს დაცვას შეთანხმებით.

ამასთან, როგორც პროკურორები, ასევე ადვოკატები შეუძლებლად მიიჩნევენ პირის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას სოციალურად დაუცველთა ბაზის მიხედვით, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ბაზა არასრულყოფილია და შესაძლოა მასში არ მყოფი პირი უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყოს, ვიდრე სხვა ბაზაში რეგისტრირებული ბრალდებული.

გარდა ზემოთჩამოთვლილი საკითხებისა, ინტერვიუებში მონაწილე პირებთ ეთხოვათ გამოეხატათ თავიანთი პოზიცია საპროცესო შეთანხმების ადვოკატის გარეშე გაფორმების შესაძლებლობაზე ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ბრალდების შემთხვევაში, რაზეც მოსამართლეებმა არ ჩათვალეს სავალდებულოდ ადვოკატის ყოლა ყველა კატეგორიის, მათ შორის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ადვოკატთა მხოლოდ 30%-მა და ერთმა პროკურორმა მიიჩნია შესაძლებლად ამ პრინციპით საქმეების გამიჯვნა და ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეზე საპროცესო შეთანხმების ადვოკატის გარეშე გაფორმება. ადვოკატმა და პროკურორთა უმრავლესობა კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ადვოკატის გარეშე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობას, ხოლო ორმა ადვოკატმა დისკრიმინაციის პრობლემაზე მიუთითა და გამოსავლად არა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, არამედ სანქციის სახეების მიხედვით გამიჯვნა მიიჩნიეს შესაძლებლად.

შეკითხვაზე თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ ადვოკატის ხარჯის როგორც საპროცესო ხარჯის ბრალდებულისათვის დაკისრება და შემდგომ აღსრულების გზით ამოღება, თუ ის არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში - გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ აღნიშნული პროცედურა რთულად და დამატებითი პრობლემების შექმნის წინაპირობად მიიჩნიეს (მოსამართლეები - 100%, პროკურორები - 60%, ადვოკატები - 70%), თუმცა აქვე აღინიშნა, რომ სოციალურად დაუცველ პირთა ბაზის სრულყოფილების შემთხვევაში, მათი უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე თუ გადახდისუუნარობა.

ინტერვიუში მონაწილე პირებს ეთხოვათ, საქმიანობის სრულყოფის მიზნით, გარკვეული რეკომენდაციები მიეცათ პროცესის სხვა მონაწილეთათვის. შესაბამისად ინტერვიუში მონაწილე მოსამართლეებმა პროკურორებს ურჩიეს მანამ სანამ იურიდიული დახმარების სამსახურს მიმართავენ, მოიძიონ ინფორმაცია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და მისცეს მას გონივრული ვადა შეთანხმებით დაცვის ასაყვანად, ხოლო ადვოკატებს მისცეს რეკომენდაცია ყურადღება მიაქციონ რამდენად რეალურად მიმდინარეობს მოლაპარაკება და სათანადო საფუძვლის აღმოფხვრისთანავე ჩამოშორდნენ საქმეს. ანალოგიური რეკომენდაცია მისცეს პროკურორთა და ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატების აბსოლიტურმა უმრავლესობამ იურიდიული დახმარების ადვოკატებს, ხოლო თვით როგორც იურიდიული დახმარების, ასევე ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატებმა პროკურორებს

ურჩიეს, მანამ სანამ იძულებით დაცვას დაუნიშნავენ მისცეს გონივრული ვადა შეთანხმებით ადვოკატის ასაყვანად ან სულ მცირე ის მაინც განუმარტონ ბრალდებულს, რომ უფლება აქვს აიყვანოს ადვოკატი და პირდაპირ არ შესთავაზონ უფასო იურიდიული დახმარება, განსაკუთრებით იმ პირებს, რომელთაც თავად შეუძლიათ აიყვანონ ადვოკატი.

შეკითხვაზე თუ რა რეკომენდაციას მისცემდნენ ადვოკატები და პროკურორები მოსამართლეს მათმა უმრავლესობამ მოსამართლეს სთხოვეს ასე ფართოდ ნუ განმარტავს კანონის ჩანაწერს მოლაპარაკების მიმდინარეობის თაობაზე და მხოლოდ მაშინ მიიღოს გადაწყვეტილება იძულებითი დაცვის დანიშვნის თაობაზე, როცა ბრალდებული აღიარებს დანაშაულს, სადაოდ არ ხდის მტკიცებულებებს და პროკურორიც თანახმაა აწარმოოს მოლაპარაკება, ასევე საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში მისცეს საშუალება სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატებს, ჩამოშორდნენ საქმეს.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხულ პირთა უმრავლესობა აღიარებს ამ მიმართულებით როგორც კანონმდებლობაში, ასევე პრაქტიკაში პრობლემების არსებობას და მათი გამოსწორების შესაძლებლობას საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელებაში ხედავს.

თავი 4. დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც შესავალში აღინიშნა, ხსენებული კვლევის მიზანს საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის განსაზღვრა, მისი დახვეწის გზების შემოთავაზება და ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა წარმოადგენდა.

კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გამოტანილი დასკვნები და მის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციები, ვფიქრობთ, დაეხმარება კვლევის შედეგებით დაინტერესებულ პირებს, კიდევ უფრო სრულყოფილი გახადონ თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით.

დასკვნები:

- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის თანახმად სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პირი დაცვის უფლებით თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად და ამას მოითხოვს მართმსაჯულების ინტერესი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად სავალდებლოა ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე;
- ამავე კანონმდებლობის თანახმად, პროცესის მწარმოებელი ორგანო (პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე) ვალდებულია დაუყოვნებლივ მოიწვიოს იურიდიული დახმარების ადვოკატი, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა ბრალდებულს შეთანხმებით ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა ან/და სურვილი, თუ წარმოიშვა სავალდებულო დაცვის საფუძველი და საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს ადვოკატის საქმიდან ჩამოშორების/აცილების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში თუ საქმის მსვლელობისას დადგინდა, რომ მიმდინარე მოლაპარაკება შეწყდა, ან/და საპროცესო შეთანხმება არ ფორმდება და შესაბამისად აღარ არსებობს ამ საფუძვლით ბრალდებულის დაცვის სავალდებულო პირობა. შესაბამისად სასამართლო პრაქტიკა ამ თვალსაზრისით არაერთგვაროვანია და ადვოკატის საქმიდან ჩამოშორება მთლიანად არის დამოკიდებული მოსამართლის ნება-სურვილზე;

- საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში საპროცესო კოდექსის ჩანაწერი "მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე" განიმარტება არაერთგვაროვნად და გადაწყვეტილების მიმღებ პირს აძლევს საშუალებას არაკეთილსინდისიერად გამოიყენოს ამ საფუძვლით ადვოკატის დანიშვნის შესაძლებლობები;
- საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაიშვება ყველა კატეგორიის საქმეზე, როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე, საკასაციო ინსტანციის ჩათვლით, რაც ამ მოლაპარაკების პროცესის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელების შესაძლებლობასაც გულისხმობს;
- ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის კანონმდებლობით ადვოკატის მონაწილება საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სავალდებულოა, მიუხედავად კონკრეტული საქმის ბუნებისა (ბელგია, ბულგარეთი, საფრანგეთი, ფინეთი და ესტონეთი), ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში მარტივ საქმეებზე საპროცესო შეთანხმება შეიძლება შედგეს ადვოკატის გარეშე (გერმანია, ინგლისი). აქვე გასათვალისწინებელია, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გაწერილი ბრალდებულის ვალდებულება, მსჯავრის გამოტანის შემდგომ თუ გადახდისუუნარო არ არის აანაზღაუროს ადვოკატის მომსახურების ხარჯები (ბულგარეთი, ესტონეთი, გერმანია);
- სტატისტიკური მონაცემების ანალიზით გაირკვა, რომ 2015-2016 წლებში სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების საქმეებიდან (19972 პირი) უფასო იურიდიული დახმარებით ისარგებლა 8385 პირმა (42%) და მათგან მხოლოდ 400 **(4.8%)** იყო გადახდისუუნარო;
- იურიდიული სამსახურის მიერ, საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით წარმოებაში მიღებული 8385 საქმიდან 6975 პირის საქმე დასრულდა საპროცესო შეთანხმებით (83%) და მათგან 2302 პირზე (33%) სასჯელის სახედ ჯარიმაც კი იქნა გამოყენებული, მაშინ როცა იურიდიული დახმარების თითოეული ადვოკატი წელიწადში საშუალოდ 80 საქმეს აწარმოებს, რაც ეჭქვეშ აყენებს ამ საქმიანობის ხარისხიანობას და ეფექტურობას;
- გამოკითხულ ადვოკატთა დიდი ნაწილი პრობლემის მოგვარებას ბრალდებულისათვის გონივრული ვადის მიცემაში ხედავს, შეთანხმებით ადვოკატის ასაყვანად. პროკურორთა მხრიდანაც შესაძლებლად იქნა მიჩნეული ნაცვლად დაუყოვნებლივ ადვოკატის დანიშვნისა, არადაკავებული ბრალდებულისათვის გონივრული ვადის მიცემა შეთანხმებით ადვოკატის ასაყვანად, თუმცა ზოგიერთი მათგანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გონივრული ვადა ხშირ შემთხვევაში დროის ფუჭად ხარჯვას გამოიწვევს;
- როგორც პროკურორები, ასევე ადვოკატები შეუძლებლად მიიჩნევენ პირის

ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას სოციალურად დაუცველთა ბაზის მიხედვით, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ბაზა არასრულყოფილია და შესაძლოა მასში არ მყოფი პირი უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში იყოს, ვიდრე სხვა ბაზაში რეგისტრირებული ბრალდებული;

- საპროცესო შეთანხმების ადვოკატის გარეშე გაფორმების შესაძლებლობაზე ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე ბრალდების შემთხვევაში, მოსამართლეებმა არ ჩათვალეს სავალებულოდ ადვოკატის ყოლა ყველა კატეგორიის, მათ შორის ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ადვოკატთა მხოლოდ 30%-მა და ერთმა პროკურორმა მიიჩნია შესაძლებლად ამ პრინციპით საქმეების გამიჯვნა და ნაკლებად მძიმე კატეგორიის საქმეზე საპროცესო შეთანხმების ადვოკატის გარეშე გაფორმება. ადვოკატმა და პროკურორთა უმრავლესობა კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ადვოკატის გარეშე საპროცესო შეთანხმების გაფორმება, ხოლო ორმა ადვოკატმა დისკრიმინაციის პრობლემაზე მიუთითა და გამოსავლად არა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, არამედ სანქციის სახეების მიხედვით გამიჯვნა მიიჩნიეს დასაშვებად;
- შეკითხვაზე თუ რამდენად შესაძლებლად მიაჩნიათ ადვოკატის ხარჯის, როგორც საპროცესო ხარჯის, ბრალდებულისათვის დაკისრება და შემდგომ აღსრულების გზით ამოღება, თუ ის არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში - გამოკითხულ პირთა უმრავლესობამ აღნიშნული პროცედურა რთულად და დამატებითი პრობლემების შექმნის წინაპირობად მიიჩნიეს (მოსამართლეები - 100%, პროკურორები - 60%, ადვოკატები - 70%);
- სოციალურად დაუცველ პირთა ბაზის სრულყოფილების შემთხვევაში გამოკითხულ პირთა უმრავლესობა სამართლიანად მიიჩნევს მხოლოდ მაშინ დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე თუ გადახდისუუნაროა, ხოლო გადახდისუნარიანი ბრალდებულის შემთხვევაში შეთანხმებით ადვოკატის არ აყვანა ჩაითვალოს ამ უფლების დათმობად.

რეკომენდაციები:

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, უფრო მეტი სიზუსტით განისაზღვროს ადვოკატის ჩართვის ვალდებულების დაწყების მომენტი, კერძოდ თუ როდის იწყება მოლარაკება მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე, რათა მომავალში გამოირიცხოს ამ მოტივით სახელმწიფო რესურსის არამიზნობრივად გამოყენება;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაემატოს სავალდებულო დაცვის საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში ადვოკატის აცილების შესაძლებლობა და პროცედურა;
- ფართო აუდიტორიას წარედგინოს განსახილველად საპროცესო შეთანხმების გაფორმების მოტივით ადვოკატის დანიშვნის შესაძლებლობის შემდეგი

ალტერნატიული წინადადებები. დისკუსიის შემდეგ კი მომზადდეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ასევე "იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში. კერძოდ:

- ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე და სამართალწარმოების პროცესის დასრულების შემდგომ, შემაჯამებელი გადაწყვეტილებით მინიმალური ხარჯების დაკისრების შესაძლებლობა თუ ბრალდებული/მსჯავრდებული არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ პირთა ბაზაში (მაგალითად ერთი დღე 10 ლარი);
- ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა ყველა კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეზე თუ ბრალდებული/მსჯავრებული რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში, ხოლო ბაზაში არარეგისტრირებული პირის შემთხვევაში გონივრული ვადის მიცემა (საქართველოს სსსკ-ის 168-ე მუხლის ანალოგიურად) რათა მან აიყვანოს დაცვა შეთანხმებით, ვადის გასვლის შემდგომ ადვოკატის არაყვანა კი ჩაითვალოს უფლებაზე უარის თქმად;
- ადვოკატის არასავალდებულობა ისეთი კატეგორიის საქმეებზე, რომელშიც წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ არ ითვალისწინებს ვადიან თავისუფლების აღკვეთას.

კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებამდე:

- იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებს მიეცეთ რეკომენდაცია, სათანადო საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, ყველა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, მიმართონ გადაწყვეტილების მიმღებ პირს (პროკურორი, მოსამართლე) საქმიდან ჩამოშორების თხოვნით;
- პროკურორებს მიეცეთ რეკომენდაცია, სავალდებულო წესით ადვოკატის მოწვევამდე, ბრალდებულთან, რომელთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე, გაარკვიონ, ხომ არ სურს თვითონ მოიწვიოს მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი;
- მოსამართლეებს მიეცეთ რეკომენდაცია, იმ შემთხვევაში თუ ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, ან/და პროკურორი წინააღმდეგია გააფორმოს საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან, თავი შეიკავონ იურიდიული დახმარების ადვოკატის ამ საფუძვლით მოწვევისგან, ხოლო როცა ცალსახაა, რომ მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა, შესაბამისი რესურსის დაზოგვის მიზნით, ნება დართონ ადვოკატს ჩამოშორდეს საქმეს.

ქეთევან ჩომახაშვილი

2017 წელი